პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხაკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და ხაკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 26 დეკემბერი, 1943 წ. № 266 (6891). ფასი 20 კაპ.

ვამრავლოთ საწარმოო წარმატებები ფრონტის დასახმარებლად

ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამხედრო და საერთაშორისო წარმატებებით აღსავსეა 1943 წელი, სასიხარულო გამარჯვებათა წელი. რამდენიმე დღის შემდეგ კარს შემოაღებს 1944 წლის პირველი დღე. საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკი ცდილობს წარმატებით დაამთავროს მიმდინარე წელი და ახალი საწარმოო აღმავლობით დაიწყოს ახალი წელი.

ამხანაგ **სტალინის** 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ საბჭოთა ადამიანებმა უპასუხეს კონკრეტული ვალდებულებების აღებით. ისინი წარმატებით ასრულებენ ამ ვალდებულებებს და ამით მზარდ დახმარებას უწევენ გმირ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურების დაჩქარებაში.

გმირულ შრომასა და ბრძოლაში მთელმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით წაიკითხა ახალი სახელმწიფო ჰიმნის სიტყვები. წაიკითხა და კიდევ უფრო მეტი ძალა შეიმატა. ამ ჰიმნში განსახიერებულია **ლენინისა** და **სტალინის** მიერ შექმნილი საბჭოთა ხალხმწიფოს სოციალისტური არსი, მისი ამირული ისტორია, მისი აწმყო და მომავალი. ჰიმნი უგალობს ჩვენი ქვეყნის ახალ გამარჯვებებს, და საბჭოთა ხალხმა იცის, რომ ამ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად საჭიროა მთელი ძალღონის დაძაბვა, საჭიროა ვამრავლოთ მიღწეული წარმატებები.

დიდი ბელადის მოხსენების პასუხად ახალი ძალით გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ნაკლური ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, წლიური გეგმების გაჭიანურებას, ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებას მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

საბჭოთა საქართველოს მთელმა რიგმა ფაბრიკა-ქარხნებმა უკვე შეასრულეს წლიური გეგმები, ხოლო იმ საწარმოთა სია, რომლებიც წლიურ გეგმებს ასრულებენ, ყოველ საათობით იზრდება.

ასევე წარმატებით ამთავრებს მიმდინარე სამეურნეო წელს სოციალისტური სოფელი.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წარმატებით შევასრულოთ ბელადის მოხსენების პასუხად ნაკლური **ყველა ვალდებულება**, შევასრულოთ **წლიური გეგმები** და **აქედანვე შევქმნათ** პირობები 1944 წელს **ახალ წარმატებათა** მოსაპოვებლად.

ომიანობის დროის სტახანოველები განუწყვეტლად ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, გამომგონებლები და რაციონალიზატორები წინ სწევენ ტექნიკურ აზრს. ყოველივე ეს ადიდებს წითელ არმიისათვის საჭიროელის, იარაღის, სურსათის მიწოდებას, აახლოებს ჩვენი სრული გამარჯვების ჟამს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვადაზე ერთი თვით აღრე შეასრულა. გეგმის შესრულებას ხელი შეუწყო ნაკადური მეთოდების დანერგვამ იმ საამქროებში, სადაც უფროსობენ ალრიან დ. პეტრიაშვილი, ვ. სიმონიანი და მ. ერშოვი. კარგად იმუშავა ავრეთვე საელექტროსამჭედრო საამქრომ და საბორბლე-სახარატო საამქრომ. წლიური გეგმები ასევე წარმატებით შეასრულეს თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანამ და მაუდამოლის თაბრიკამ. ამ თაბრიკამ წლიური გეგმა 11 თვეში გაანაღდა და გეგმის ზევით მრავალი ათასი მეტრი ქსოვილი მისცა ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას. 26 კომისრის სახელობის ქარხნის ცნობილმა სტახანოველმა ი. მირზოევმა ბელადის მოხსენების პასუხად ნაკლური ვალდებულება 20 დეკემბრისათვის შეასრულა. იგი 1.138 პროცენტით ასრულებს დავალებას, ნაცვლად 1.000 პროცენტისა. ასევე წარმატებით მუშაობენ ათასოვნები მ. გასიშვილი და გ. ყველაშვილი.

წლიური გეგმა ვადაზე აღრე შეასრულეს გუმბრინის მაღაროების კოლექტივმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, კასპის ცემენტის ქარხანამ და ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროში კი ყველა ცვლა და ყველა უბანი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს.

ახლოდება ახალი წელი და ახალი ძალით ჩაღდება სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. გუშინ გამოქვეყნდა ქალაქ მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა აქტივის მიმართვა სსრ კავშირის აღგილობრივი მრეწველობის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი. ამ მიმართვას ფართოდ უნდა გამოეხმაურონ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკები. მოსკოველი ამხანაგები კისრულობენ მთელ რიგ კონკრეტულ ვალდებულებებს, როგორც, მაგალითად, 1944 წლის პირველ კვარტალში გეგმის შესრულებას დაწესებული ნომენკლატურით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, საქონლის წარმოების ოდენობის გადიდებას, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიისა და წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვას და სხვ. ამასთან ერთად, ისინი კისრულობენ დახმარება აღმოუჩინონ განთავისუფლებულ რაიონებს აღგილობრივი მრეწველობის საწარმოების აღდგენაში.

მოსკოველთა ინიციატივას, ეჭვი არ არის, **ფართოდ დაუჭერენ** მხარს საქართველოს აღგილობრივი მრეწველობის მუშაკები.

ასევე ფართო გამოხმაურებას ჰპოვებენ დღეს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მიმართვები სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გასაშლელად.

ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქციის გამოშვება, სტახანოვური რიგების **გამრავლება**, ნაკადური **მეთოდის** ფართოდ **დანერგვა**, შრომის ნაყოფიერების შემდგომი **ამაღლება**, ელექტროენერგიის **მომჭირნეობით** ხარჯვა, **ეკონომია** ყველგან და ყველაფერში — ყოველივე ეს ჩვენი მრეწველობის მუშაკებისაგან მოითხოვს დაუღალავ, შეუპოვარ, ნამდვილად სამხედრო ტემპებით მუშაობას.

უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა დიდმა **სტალინმა** თავის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებაში აღნიშნა, რომ **„ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“.**

დიდი ბელადის მოწოდებით აღფრთოვანებული მთელი საბჭოთა ხალხი ახალ წელს იგებება თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში, თავის გიგანტურ ძალებში ღრმად დარწმუნებული, დარწმუნებული იმაში, რომ ახალი წელი ახალ გამარჯვებათა წელი იქნება. ამ გამარჯვებისათვის გმირულად იბრძვის და თავდადებულად შრომობს საბჭოთა ხალხი!

მაშ ვამრავლოთ საწარმოო წარმატებები ფრონტის, წითელი არმიის დასახმარებლად, გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების გასანადგურებლად!

ბ. ვ. ფრუნზეს სახელობის ორიოლის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი საჯანკო სასწავლებლის უფროსს საჯანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვარმაშკინს

ვულოცავ ბ. ვ. ფრუნზეს სახელობის ორიოლის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სატანკო სასწავლებლის ოფიცერთა, სერჟანტთა, კურსანტთა, რიგითს და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას 25-ე წლისთავს, მთავრობის მაღალი ჯილდოების მიღებას და ვუსურვებ ახალ წარმატებებს სატანკო ნაწილებისათვის ოფიცერთა კადრების მომზადების საქმეში.

თავდაცვის სახალხო კომისარი
საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. სტალინი**

თვითმავალი არტილერიის ბ. ვ. ფრუნზეს სახელობის კიევის მეორე წითელდროშოვანი სასწავლებლის უფროსს არტილერიის მაიორ გუნდორინს

ვულოცავ თვითმავალი არტილერიის ბ. ვ. ფრუნზეს სახელობის კიევის მეორე წითელდროშოვანი სასწავლებლის ოფიცერთა, სერჟანტთა, კურსანტთა, რიგითს და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას 25-ე წლისთავს, მთავრობის მაღალი ჯილდოების მიღებას და ვუსურვებ ახალ წარმატებებს თვითმავალი არტილერიის ნაწილებისათვის ოფიცერთა კადრების მომზადების საქმეში.

თავდაცვის სახალხო კომისარი
საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. სტალინი**

ბ. ვ. ფრუნზეს სახელობის საჯანკო სასწავლებლის უფროსს საჯანკო ჯარების გენერალ-მაიორ ბოლონისს

25-ე წლისთავის აღსანიშნავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებებით ბ. ვ. ფრუნზეს სახელობის ორიოლის წითელდროშოვანი სატანკო სასწავლებელი, სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისა და სატანკო ნაწილებისათვის ოფიცერთა კადრების მომზადებაში შესანიშნავი წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სასწავლებლის მეთაურთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის ჯგუფი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. (საკდესი).

თვითმავალი არტილერიის კიევის მეორე სასწავლებლის დაჯილდოება

25-ე წლისთავის აღსანიშნავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებებით თვითმავალი არტილერიის კიევის მეორე სასწავლებელი, წითელი არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების თვითმავალი არტილერიისათვის ოფიცერთა კადრების მომზადებაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებებისა და სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

სასწავლებლის მეთაურთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის ჯგუფი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. (საკდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პლენუმი

24 დეკემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა სამუშაოდან მოხსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ი. კობერიძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. დავით ვეორგის-ძე ხანთაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ი. ბარამიამ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
25 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

25 დეკემბრის განმავლობაში ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას წარმატებით განვითარებას და ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზრიადა, სლობოდკა, ფილიპენკი, სტაპაკი, სლობოდა, სტირიკი, ნოვკა, გუდილოვო, იზაბოვო, კურინო, რიბაკი. პენკლოვიჩი, ციუუტკი, ძებენტიანი, კოსოვო და რკინიგზის სადგური ზალუჩიე. ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ვიტებსკ-პოლოცკის გზატკეცილი.

ლენინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების ყველა იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა.

24 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 58 ტანკი.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ნ შენაერთის ნაწილებმა გადასჭრეს ვიტებსკ-პოლოცკის გზატკეცილი. გერმანელები გაფანტულნი ლენინგრადელებმა ცდილობდნენ არ გაეშვნა ჩვენი ჯარები ამ გზატკეცილზე, რომელსაც მათთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი დღის ბრძოლებში ამ რაიონში გაანადგურეს 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გოროდოკის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წარმატებით ავითარებდნენ შეტევას, მტერი განდევნეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. გერმანელები ცდილობდნენ კონტრიერიშებით შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების წინსვლა, მაგრამ დიდი ზარალი მოუვიდათ და იძულებული იყვნენ სასწრაფოდ დაეხიათ უკან. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ჰიტლერელებს სდევნიდნენ, დაიკავეს რკინიგზის სადგური ზალუჩიე. დაზიანებული და მოსაბილია გერმანელთა 17 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. მტერს წავართვეს 59 ქვემეხი, 47 ნაღმსატყორცნი, 80 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. ტყვედ წამოყვანილია 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები ცდილობდნენ რადაც უნდა დაჯდომოდათ მიეღწიათ წარმატებისათვის და ბრძოლაში ახალი რეზერვები გამოიყენეს. მტრის ქვეითი ჯარი და ტანკები არაერთგზის და სხვადასხვა მიმართულებით გადმოდიოდნენ იერიშზე, მაგრამ ყველგან გადაშენეულ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც იგერიებდნენ მტრის იერიშებს, გაანადგურეს 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჰიტლერელთა ორი ასეული საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ცეცხლი მოხვდა და სავსებით გაანადგურა იქნა.

* * *

ბარენცის ზღვაში ჩვენმა ხუთმა კატერმა 22 დეკემბერს სატორპედო დარტყმა აუფეთქა მტრის გემთა ქარავანს, რომელიც შესდგებოდა სამი ტრანსპორტისა, ნაღმოსნისა, ოთხი ტრალერისა, ექვსი საგუშაგო ხომალდისა და ათი საგუშაგო კატერისაგან. დარტყმის შედეგად ჩაძირულია გერმანელთა ნაღმოსანი, მტრის 2 საგუშაგო ხომალდი და ტრანსპორტი 5.000 ტონა წყალწყვიმა. საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა ჩვენი ერთი კატერი.

* * *

ლენინგრადის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა დეკემბრის ორი კვირის განმავლობაში ლაღოგიდან გადააგდო მტრის 21 სამხედრო ეშელონი. დაქანცულია 14 ორთქლმავალი და 150-ზე მეტი ვაგონი ჯარებისადა და სამხედრო ტვირთისადან. მარცხის შედეგად მოკლული და დაჭრილია დიდძალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე ხნის განმავლობაში პარტიზანებმა დაანგრიეს მტრის კავშირგაბმულობის 196 კილომეტრი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი.

* * *

ნეველის სამხრეთით ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 129-ე ქვეითი დივიზიის 129-ე საარტილერიო პოლკის ექიმმა კაპიტანმა ჰერჰარდ კლიმმა განაცხადა: „სულ უკანასკნელ დროამდე ოფიცრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოველივარ გარემოებაში ჩვენ შეეძლებოდით შეგვენარჩუნებინა დაკავებული პოზიციები. უფრო მეტიც, — ამბობდნენ, გერმანიის სარდლობას განზრახული აქვს მახლობელ დღეებში კვლავ დაიკავოს ნეველი და ამ მიზნით რამდენიმე დივიზიას მოუყარა თავი ფრონტის სხვა უბნებიდანო. რუსების შემოტევამ ჩაფუშა ყველა ეს ვარაუდი. ჩვენ შწარე სინამდვილის წინაშე აღმოვჩნდით. რუსებმა გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა და ჩვენ ქვაბში აღმოვჩნდით. ცნობამ გარშემორტყმის შესახებ საყოველთაო პანიკა გამოიწვია. ჯარისკაცები გაიქცა-გამოიქცნენ და მიატოვეს იარაღი, საჭურველი და სამზედრო ქონება“.

გერმანელთა 129-ე ქვეითი დივიზიის შტაბისათვის მიკუთვნებული სარეზერვო ასეულის ოფიცერს ტყვე მეთაურმა ლეიტენანტმა ვილჰელმ გოლმანმა გვაცნობა: „ჩვენს უკანდახევას უწესრიგო გაქცევის ხასიათი ჰქონდა. ყველაფერი აირ-დაირია. ტყეში მოგროვდნენ სხვადასხვა ნაწილების ჯარისკაცები და ოფიცრები. ჩვენ ვცადეთ გოროდოკისაკენ გაეჭრელიყავით, მაგრამ გზატკეცილი უკვე გადაჭრილი აღმოჩნდა. კოლონა მცირე ჯგუფებად დაიყო. ჩემი ჯგუფი, რომელშიც რამდენიმე ოფიცერი იყო, რუსების მზვერავმა რაზმმა ტყვედ წამოიყვანა სადგურ ბიჩიხის მახლობლად. ჩვენ იმ ოქედთ მივდიოდით, რომ ჩვენს შევუერთდებოდით, ხოლო აღმოჩნდა, რომ რუსებს უკვე დაეკავებინათ ეს სადგური“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მხეცობის შესახებ: „ჩვენი ჯარების დარტყმებით უკანდახევისას ჰიტლერელებმა ძალით გაიერეკეს ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ ერისტოვკის, ზელენინი გაის და კალინოვკის მოსახლეობა. ჩვენი ქვეგანყოფების მოხვლისას ეს სოფლები გაპარტახებული და დანგრეული იყო გერმანელების მიერ. ჩვენ იქ ვერც ერთი კაცი ვერ ვიპოვნეთ. ყველა სახლი გაძარცული და განადგურებული იყო. უკაცურ ეზოებსა და ბაღებში ეყარა სოოჯახო ნარეხრის ნაშთები. ფაშისტური ტყვეობიდან გამოქცეულმა ორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა—ვასილ ლალინმა და მიხეილ სერეგამ გვაცნობეს: „უკან დახევამდე რამდენიმე დღით ადრე გერმანელთა სამხედრო ხელისუფლებმა ყველა მამაკაცს 14-დან 50 წლის ასაკამდე უბრძანეს, კომენდატურაში გამოცხადდით სამხედრო ტყვეთა ბანაკში გასაგზავნად. დანარჩენ მცხოვრებთ წინადადება ჰქონდათ შიცემული, სოფელ კალინოვკაში შეიკრებოთო. ამ ბრძანებათა შეუსრულებლობისათვის გერმანელები დახვრეტით იმუქრებოდნენ. გერმანელი ჯარისკაცები კარი-კარ დაიარებოდნენ და ადამიანებს კონდახის ცემით ერეკებოდნენ. გზაში ჩვენ მოვახერხეთ გაქცევა და შინ დაბრუნება. ყველა დანარჩენი მცხოვრები კი პატარა ბავშვებიანად, არავინ იცის, თუ სად გაიერეკეს გერმანელებმა“.

აქტს ხელს აწერენ: გვარდიის პოლკოვნიკი ჩერენკოვი, გვარდიის ზემდეგი ტურტიკინა, გვარდიის წითელარმიელები ბოიკოვი და კალუგინი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

გარდაცვლილ კონსტრუქტორ ვ. მ. გორიუნოვის ხსოვნის უკვდავყოფისა და გარდაცვლილის ოჯახისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატ **დადგინა:**

1. მიღებულ იქნას ამხ. ვ. მ. გორიუნოვის დაკრძალვა სახელმწიფოს ხარჯზე.

2. მიეცეს ამხ. ვ. მ. გორიუნოვის ოჯახს ერთდროული დახმარება 25 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. დაუწესდეს პერსონალური პენსია ამხ. ვ. მ. გორიუნოვის ოჯახს: ცოლს—ელისაველ მიხეილის-ასულ გორიუნოვას 600 მანეთი თვიურად მთელ სიცოცხლეში და შვილებს—გალინასა და რუფიმას—400 მანეთი თვეში თითოეულს მათ მიერ სრულწლოვანი ასაკის მიღწევამდე.

4. დაწესდეს შეიარაღების სახალხო კომისარიატის კოროვის მექანიკურ ტექნიკუმში ამხ. ვ. მ. გორიუნოვის სახელობის ხუთი სტიპენდია, 400-მანეთიანი თითოეული, ტექნიკუმს ყველაზე გამოჩენილი ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

რსფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების გადადების შესახებ

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

გადაიდოს 1944 წლის დეკემბრამდე რსფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები და ამავე ვადით განგრძობილ იქნას ამ საბჭოების რწმუნების ვადები.

ბრძანებული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების გადადების შესახებ

გადაიდოს 1944 წლის დეკემბრამდე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები და ამავე ვადით განგრძობილ იქნას ამ საბჭოების უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1943 წ. 25 დეკემბერი. თბილისი.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ავსტრალიის დელეგაციის ბ-ნი დ. მალონეი

ა. წ. 23 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ავსტრალიის საგანგებო დელეგაციის და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი დ. მალონეი.

ბ-ნ დ. მალონეის აეროდრომზე შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-2 ევროპული განყოფილების გამგე ამხ. კ. ვ. ნოვიკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო დეპარტამენტის მოადგილე ამხ. ა. ა. სოლოდოვნიკოვი, დიპლომატიური შემადგენლობა ავსტრალიის მისიისა სსრ კავშირში საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ კ. ოფისერის მეთაურობით.

უკანასკნელი ცნობები

აღმოსავლეთ ბოსნიაში ჩავიდა გენერალი დეგ�ტა და ფასინი

ლონდონი, 25 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა 23 დეკემბერს გამოაცხადა, რომ ალჟირის გენერალ დე გოლის განკარგულებაში ჩავიდა გენერალი დელატრ დე ტასინი.

გენერალმა დელატრ დე ტასინიმ, რომელიც მეთაურობდა ფრანგი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ჯგუფს, 1942 წლის ნოემბერში მოაწყო შეიარაღებული წინააღმდეგობა ჰიტლერელი ჯარებისადმი, რომლებიც საფრანგეთის ეგრეთწოდებულ არაოკუპირებულ ზონაში შეიჭრნენ. იგი შეიპყრეს და 1943 წლის იანვარში გერმანიის სასამართლომ ლიონში მას 10 წლის პატიმრობა მიუსაჯა. დე ტასინი მოთავსებულ იქნა რიომის საპყრობილეში. ამა წლის სექტემბერში დე ტასინი საპყრობილიდან გაიქცა და ინგლისში ჩადავიდა, იქიდან კი 20 დეკემბერს ალჟირში ჩავიდა.

აფის საგენტო აღნიშნავს, რომ შესაძლოა გენერალი დე ტასინი დანიშნოს ფრანგთა ან ჯარების მთავარსარდლად, რომლებიც განკუთვნილია დესანტისათვის საფრანგეთში.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საომარი მოქმედება

ჟენევა, 25 დეკემბერი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების კონტრშეტევა აღმოსავლეთ ბოსნიაში წარმატებით ვითარდება. დაკავებულია დაბა და ხიდმადნო ბრეზა და ქალაქი ვარეში. ხანგრძლივი ბრძოლებიანი ფრონტის სექტორში ჰიტლერელებმა ვარტო ერთი დღის განმავლობაში 80 კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და მრავალი ჯარისკაცი—დაჭრილთა სახით.

გრძელდება შეუპოვარი ბრძოლა ლიენიდუბნოს უბანზე. მიუხედავად მრავალჯერ მიტანილი იერიშისა, რასაც ტანკები ეხმარებოდნენ, ჰიტლერელებმა ვერ შესძლეს გაეჭრელიყვნენ კუპრესასა და ბუგოინოს მიმართულებით. ცენტრალურ ბოსნიაში მოგვიანებულია სოციალისტური ჯარების ყველა ცდა ტრავნიკიდან და ზენიცადან გაეჭრილიყვნენ ბუგოინოსა და ოიოცეს მიმართულებით. ამ ბრძოლაში მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების კონტრშეტევა კორდუნის ოლქში ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს ოლქი ნიადაგი შემდგომი შეხვედრებისათვის. კიბოსა და თეირანში ჩვენი ყურადღება მიეპყრობა არა მარტო სამხედრო საკითხებს, არამედ მომავლის განხილულსაც და ისეთი მშვიდობიანობის შექმნის გეგმების გამომუშავებასაც, რომელსაც ერთადერთ ეფექტიანად ეფუძნება ომის ყველა მსზვერპლი“.

„კაიროს და თეირანის კონფერენციებმა, — განაგრძო რუზველტმა, — პირველად მომცეს საშუალება შევხვედროდი გენერალისიმუს ჩანკაი-შის და მარშალ სტალინს, მონაწილეობა მიმეღო სხდომებში ერთი მაგიდის გარშემო ამ უძლეველ ადამიანებთან და პირისპირ მესაუბრნა მათთან.

კაიროსა და თეირანში ჩვენ განხრახვა გვქონდა, გვესაუბრნა ერთმანეთთან მაგიდის იქით-აქეთ ნაპირიდან, მაგრამ ჩვენ ძალიან მალე მივხვდით, რომ ყველანი მაგიდის ერთ მხარეზე ვიყავით. ამ კონფერენციებზე ჩვენ ერთმანეთისადმი რწმენით მივედით. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროებოდა პირადი კონტაქტი. და ახლა ეს რწმენა ჩვენ გარკვეული ცოდნით შეგვეცეთ“.

რუზველტმა განიხილა წყნარ ოკეანეში ომის პერსპექტივები, ქებით მოიხსენია გენერალისიმუსი ჩან კაი-ში და აღნიშნა, რომ „ამჟამად ა. შ. შტატებმა და ჩინეთის რესპუბლიკამ კადევ უფრო, ვიდრე ოდესმე წინათ, განამტიკიცეს თავიანთი მეგობრობა და დაამყარეს მიზნის ერთიანობა“.

„სამი დღის ინტენსიური და მუდამ მეგობრული მოლაპარაკების განმავლობაში,—სთქვა შემდეგ რუზველტმა თეირანის კონფერენციის შესახებ, — ჩვენ თანხმობას მივაღწიეთ ყველა საკითხში, რომლებიც ეხება გერმანიაზე გიგანტური შეტევის გაჩაღებას. რუსეთის არმია განაგრძობს თავის შეუპოვარ შეტევითს მოქმედებას გერმანიის აღმოსავლეთ ფრონტზე, იტალიასა და აფრიკაში მყოფი მოკავშირეთა არმიები შეუნელებლად განაგრძობენ მიწოლას გერმანიაზე სამხრეთიდან. და ახლა გარემოცვა

მოვაწყოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტზე
მიმართვა

სსრ კავშირის მიწსახკომის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების ყველა მუშის, მუშა ქალის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი ქალინინის ოლქის ბელეცკის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს მუშაკთა და მოსამსახურეებისაგან

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სამშობლოს დიდი დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXVI წლისთავის—წინადღეს ჩვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოვისმინეთ ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ. საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მაღალმა შეფასებამ, რაც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა, ჩვენი სამშობლოს მშრომელნი ალაგზნო ახალი საგმირო საქმეების ჩასადენად, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ალმავლობის მისაღწევად, რათა კიდევ უფრო გადიდებულ იქნას პროდუქცია ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისათვის.

უბრალო, ნათელი და მართალი სიტყვებით ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს უჩვენა გერმანელ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვების გზა. ამასთან ერთად ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა მომავალი ბრძოლის სიძნელეებზე და მოუწოდა მთელ საბჭოთა ხალხს ძალ-ღონის ახალი დაძაბვისაკენ საბიზღარი მტრის გასანადგურებლად.

არაჩვეულებრივი შრომითი აღმავლობით მუშაობენ კოლმეურნეები, მათ იციან, რომ სურსათი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული ისევე სჭირდება ფრონტს, როგორც საჭურველი და საომარი მასალა.

მეტად დიდია, განსაკუთრებით ომიანობის დროს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებაში და მუშაობენ მანქანები, წარმატებებს აღწევენ კოლმეურნეობებიც, რომლებსაც მტს-ები უწევენ მოსახურებას. იმისათვის კი, რომ მტს-ების მანქანები კარგად მუშაობდნენ, ისინი წინასწარ უნდა შეეკეთოთ და სანიმუშოდ მოვამზადოთ მომავალი გაზაფხულისათვის. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ამ საქმეში დიდი დახმარება უნდა გაუწიონ სსრ კავშირის მიწსახკომის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების მუშაკებმა, რომლებიც მოტორების რემონტს ეწევიან და ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამარაგო ნაწილებს ამზადებენ.

ჩვენ მივმართავთ მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს წინადადებით — მოაწყონ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორების რემონტის წარმატებით ჩასატარებლად, საგაზაფხულო თესვისათვის ყველა მანქანა-ტრაქტორი ამბანაგების ოლქის ბელეცკის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს მუშაკთა კრებაზე.

მიმართვას ხელს აწერენ:

ბელეცკის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს დირექტორი ი. ს. გაიცხოკი, პარტორგანიზაციის მდივანი ე. ნ. ოსოლოდკინა, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე პ. ი. კოლობოვი, ტექნიკური ხელმძღვანელი ვ. ს. პეტროვი, ოსტატები:

გვიყვარდეს და ვიცოდეთ ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორია

ვ. ხატიაშვილი

თავისუფლებისმოყვარე ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის ძრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დიდი ბრძოლები გადაიტანა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. „ქართველი ხალხი ძთელი თავისი ძრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთნების, სპარსეთის შაჰების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას“ (ლ. ბერია).

დედამიწის ზურგზე, ალბათ, იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც იმდენი თავდასხმა და რბევა-აწიოკება განეცადოს, რამდენიც საქართველოს განუცდია შემოსეულ მტერთაგან.

გასული საუკუნის მიწურულში ილია ჭავჭავაძე ასე ახასიათებდა ჩვენი ხალხის წარსულს: „რა არ დადგებოდა თაკს, რა მტრები არ მოგვსეულან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრეჩენა კბილთა არ გამოგვიცლია, რა წისქვილს ქვა არ დატრიალებული ჩვენს თავზედ და ყველს გვეუძელით, ყველს გვეუმაგრდით, შეგინახეთ ჩვენი თავი, შეგირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოწაწყალი. ლანგა-თემურებმა ჩვენს საკუთარს სიხელში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბერუნდით, მოვსულიერდით. აღამაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგველიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალთურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და უჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევრჩინეთ, არავის წავიდინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ“.

და მართლაც, შწარე იყო ხვედრი მრავალტანჯული საქართველოსი. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი სულიერად არ დაცემულა. იგი ძალებს იკრებდა, ირაზმებოდა და მტერს ახალი ძალით ატყდებოდა თავს, გმირულად იგერიებდა და ანადგურებდა შემოსეულთ. ქართველმა ხალხმა ძრავალ ძრისხანე ბრძოლებში გამოატარა და თაობიდან თაობას გადასცა თავისუფლების დიადი, ძლევამოსილი დროშა.

ჩვენი სამშობლოს ისტორია შემკულია მრავალი გმირული ამბებით. მართალია, ყველა ბრძოლები და გმირები ერთნაირი სიმკვეთრით არ მოსწანან ისტორიის ძრავალსაუკუნოვან მანძილზე, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მკითხველს გაიცნოს და შეიმეცნოს მეცნიერული შრომები და ის მდიდარი მასალა, რაც დღეს ჩვენს ხელთ არის და რაც ესოდენ ძვირფასია ჩვენთვის.

დიდი სამამულო ომის ჭრისხანე დღეებმა ახალი თვალთახედვით შეგვაბედეს ჩვენს წარსულში და კიდევ უფრო მეტი სიძლიერით ამეტყველეს ქართველი ხალხის იმ დროინდელი თავდადება, გმირობა, ძალგულოვნება, სამშობლოს სიყვარული. შემთხვევით ხომ არ არის ის მარად ნათელმოსილი ისტორიული დიდება, რომ ქართველმა ხალხმა ათიულ საუკუნეთა მანძილზე შესძლო უცხოელ დამპყრობთა წინაღმდეგ ბრძოლა და თავისი ქვეყნის გადარჩენა, თავისი ენისა და კულტურის — ამ უძვირფასესი საუნჯის მოტანა მეოცე საუკუნის საგანძურში.

ასეთი სახელოვანი წარსულის ცოდნის წყურვილი ჩაუქრობელი უნდა იყოს ჩვენს გულში, ასეთი წარსული უნდა ვიცოდეთ.

საქართველოს წარსულის შესწავლაში უსაოუოდ დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ მკითხველსა და კერძოდ ახალგაზრდობას ივ. ა. ჯანაბაშვილის, პროფ. ნ. ბერძენიშვილისა და აკად. ს. ჯანაშიას ავტორობით ახლახან გამოცემული ძვირფასი წიგნი „საქართველოს ისტორია“, რომლის საერთო redაქცია აკად. ს. ჯანაშიას ეკუთვნის. მართალია, ამ წიგნში მოკლედ არის მოთხრობილი საქართველოს ისტორია ძველესი დროიდან XIX საუკუნეს დამდეგამდე და ის უმთავრესად განკუთვნილია საშუალო სკოლების უფროსი კლასებისათვის — მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს ეს ხელს არ შეუშლის საოოძველიანად შეისწავლოს ეს მეცნიერული შრომა და ამავე დროს შეავსოს იგი არსებული მდიდარი მასალებისა და ცალკეული შრომების შესწავლით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და „საქართველოს ისტორიის“ ავტორებმა დიდი ამაგი დასდეს ჩვენს ახალგაზრდობას, შესაძლებლობა მისცეს მას მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე შედგენილი შრომის მიხედვით შეისწავლოს ჩვენი სამშობლოს წარსული. საქ. მეცნიერებათა აკადემიამ სასარგებლო მუშაობა გაიწია აგრეთვე ბროშურების გამოცემით ცალკეულ პერიოდებზე და ბრძოლებზე საქართველოს წარსულიდან.

მისასალმებელია ისიც, რომ საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ინსტიტუტმა ახლახან გამოსცა პოპულარული ბროშურები — „წითელარმიელის ბიბლიოთეკა“, რაც დიდი სამამულო ომის პირობებში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

გერონტი ქიქოძე „ერეკლე მეფის ომიბში“, რომლის redაქტორია პროფ. ნ. ბერძენიშვილი, — მშვენიერი ენით მოკლედ და სხარტად მოგვითხრობს პატარა კახის ბიოგრაფიას და იმ პირობებს საქართველოისას, რომელშიც მას მოუტდა მოღიაწეობის დწყება. კახეთი მაშინ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ ახალგაზრდა ერეკლე მაღე ახერხებს ქიზიყელ-კახეთის რჩეული ვაჟკაცთა ლაშქრის თავის გარშემო დარაზმვას და ნეიშნის ველზე ლეკის ჯარისათვის გზის გადაჭრას, რის შემდეგაც პირისპირ ბრძოლებში ამარცხებს მტერს. შემოვა ავტორი მოგვითხრობს, ერანის ანო სპარსეთის მბრძანებლის ნადირ-შაჰის დამოკიდებულებაზე საქართველოსთან, ავღანისტანის დამორჩილებაზე, ინდოეთ-სინდეთის ლაშქრობის შესახებ, სადაც შაჰს თან ახლდა ერეკლე მეფე და რის შემდეგაც იგი უხვად დაჯილდოებული ამალითურთ ჯამოისტუმრა სამშობლოში.

არაგვის ხეობაში თურქ-ლეკთა ჯარის დამარცხება ერეკლეს მიერ და 1744 წელს ქართლში თეიმურაზის გამეფება, ხოლო კახეთში — ერეკლესი, რითაც ორი სამეფო გაერთიანდა; არჩილის ანუ ამდულაბეგისა და ლეკ-ავღანელ-თათრების წინააღმდეგ ბრძოლა და თბილისიდან ერანელების განდევნა, სადაც თამბოლის კოშკის აღებისას თავი ისახელა ვინმე შავერდა მღებრიშვილმა; მოსაზღვრე სახანოებში ერეკლე მეფის რამდენჯერმე გალაშქრება და აზატბარის ჯარების დამარცხება, ხუნძახის მფლობელის ნურალ ბეგის დიდი ჯარის ალყის გარღვევა და ყვარლის ციხის ჯანთავისუფლება; ერეკლე მეფის მოღვაწეობა ქვეყნის შიგნით, ზრუნვა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოსაყენებლად და მეფმივი ჯარის შესაქმნელად; რუსეთის მთავრობის მიერ ომის დაწყება თურქეთის იმპერიის წინააღმდეგ და გენერალ ტოტლებენის ერთი სამხედრო კორპუსით ჩამოსვლა საქართველოში; გენერალ ტოტლებენის ღალატი და ერეკლე მეფის მიერ თურქ-ლეკთა ჯარის დამარცხება ასპინძასთან, რაც „ერთ-ერთი დიდად გონებამახვილი და გმირული ეპიზოდია ქართველი ერის სამხედრო ისტორიაში“, — აი მთავარი მომენტები, რომელიც მოთხრობილია დასახელებულ ბროშურაში.

ავტორი ბოლოს ეხება 1795 წ. აღა მაჰმად-ხანის შემოსევას საქართველოში. ბრძოლებს სოფლიანოთან, კოჯორთან, სამასი არაგვის ვერცხლის, ბრძოლა, ბოლო ბრძოლა ალაზანზე, ალაზანი, ბოლო ბრძოლა, ალაზანი, ბოლო ბრძოლა, ალაზანი, ბოლო ბრძოლა